საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN 5

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

02 მაისი 2023 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7.იზა მაგრაქველიძე; 8. დავით ცხადაძე; 9. რუსუდან კოვძირიძე,

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი ბარათაშვილი; ამირან ვერულაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე,

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 9 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ;**

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას განსახილველად და შესასწავლად დაეწერა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩის მაცხოვრებლების ერთობლივი განცხადება (N19/29222721-29, 29.09.2022 წ.),(ინიციატივა), გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ, კერძოდ: (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების თაობაზე, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოში, რუსეთსა და საქართველოს შორის გამართულ საომარ მოქმედებებში, ე.წ. 2008 წლის აგვისტოს ომში.

მომხსენებლის განმარტებით, იურიდიულ საკითხთა კომისიამ 2023 წლის 04 აპრილის სხდომაზე განიხილა ინიციატივა, შეისწავლა თანდართული დოკუმენტების სისრულე და თვლის, რომ წარმოდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი დოკუმენტები: გმირულად დაღუპული ვალერი გოგნაძის ბიოგრაფიული ცნობები,მადლობის სიგელები,ჯილდოების შესახებ ინფორმაცია-დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით, სახელდების ინიციატივის მოტივაცია და დასაბუთება, შესაბამისი გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა (ორთოფოტო, ქუჩის მდებარეობა XY კოორდინატების მითითებით), რაც არის შემდგომი პროცედურების განხორციელების სამართლებრივი საფუძველი.

მომხსენებლის განმარტებით კანონმდებლობა ავალდებულებს შესაბამის კომისიას გამართოს კონსულტაციები საკითხის ირგვლივ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რაც იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ განხორციელდა 2023 წლის 05 აპრილს 13:00 საათზე, რაც დასტურდება მოსახლეობასთან კონსულტაციის გამართვის ამსახველი ოქმით და კონსულტაციაში მოსახლეობის მონაწილეობის მიღების სარეგისტრაციო ფურცლებით, სადაც დატანილია ხელმოწერები (სულ 50 კაცი). ადგილობრივი მოსახლეობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვალერი გოგნაძეს აქვს დიდი დამსახურება სამშობლოს წინაშე და მისი სახელის უკვდავსაყოფად უნდა მიენიჭოს ღვანკითის პირველ ქუჩას მისი სახელი.

მომხსენებლის განმარტებით, პროცედურა ითვალისწინებს საკრებულოს შუალედური გადაწყვეტილების მიღებას თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ. შესაბამისად წარმოდგენილია საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც უნდა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას დამტკიცების მიზნით.

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ განკარგულების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. საკრებულომ მიზანშეწონილად უნდა მიიჩნიოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭება.

მუხლი 2. საკრებულოს განკარგულების პროექტი და კომისიის დასკვნა წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ბიუროს და სხდომას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: